**ნინო მგალობლიშვილი**
კულტურის კვლევების დოქტორი, პროფესორი

# მოდის თეორიის  პრობლემური ველი ფილოსოფიური კულტურის კონტექსტში : მეთოდოლოგიური ასპექტი

## თეზისი

მოდის ფენომენის გამოვლინების მრავალფეროვნება განსაზღვრავს მიდგომების სიმრავლეს მისი შესწავლის მეთოდოლოგიაში. მოდის ანალიზის ყოველ მიმართულებას გააჩნია გარკვეული ფასეულობა, თუმცა, ცალკეული თეორიის მონაცემები ყოველთვის არ არის საკმარისი. თითოეული მეცნიერება მოდას საკუთარი თვალთახედვით განიხილავს, შესასწავლად იყენებს კვლევის საკუთარ მეთოდოლოგიას. გარდა ამისა, სხვადასხვა დარგის მეცნიერთა მიერ დაგროვილი ცოდნა მოდაზე  ერთმანეთთან ძნელად თავსებადია, რადგან ხასიათისაა და ფრაგმენტული. ამიტომ არსებობს  მოდის უამრავი განსაზღვრება. აქედან გამომდინარეოს მისი მთლიანობის გაგების და შესწავლის პრობლემის აქტუალურობა.

დღეს მოდა  გლობალიზებულ კულტურულ ფენომენადაა მიჩნეული და ინტერდისციპლინური ხასიათისაა, რაც  უკვე შემუშავებული არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა.  ასევე შესაძლებელია  მეთოდოლოგიური არსენალის გამოყენება.

ამ ამოცანის გადასაჭრელად მივმართეთ ჰუმანიტარული ცოდნის სხვადასხვა სფეროს.  შევეცადეთ უცხოურ ავტორთა მეცნიერული  შრომების ერთ სივრცეში თავმოყრა და განზოგადება. ხშირ შემთხვევაში ისინი პირდაპირ არ ეხებიან კოსტიუმის პრობლემატიკას, მაგრამ კულტურის კვლევების თანამედროვე სტრატეგიები საშუალებას იძლევა, მოხდეს მოდის თემის ლეგიტიმიზაცია კულტურის კვლევების საერთო სისტემაში. დასავლური სკოლის ტექნიკის, მიდგომებისა და მეთოდების ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა საკუთარი სტილისტიკის მეთოდოლოგიური ბაზა.

ჩვენ არ მოვუწოდებდით  მოდის კვლევებისათვის ახალი დისციპლინის შექმნას. პირიქით, ვცდილობდით  ყურადღება გაგვემახვილებინა იმაზედ, რომ, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით,  ფილოსოფიას, როგორც ყველა მეცნიერების საფუძველს, მოდის ფენომენის გაგებისთვის დიდი შესაძლებლობები აქვს.

ყურადღება გავამახვილეთ მოდის  შესწავლისას ფილოსოფიური და კულტურული მიდგომის გამოყენების შესაძლებლობებზე, რომელიც  მე-20 საუკუნის ბოლოდან მოდის დიზაინს კულტურულ სისტემაში განუყოფელ სისტემურ ფენომენად განიხილავს.

წარმოდგენილ  სტატიაში კვლევის ძირითად მეთოდებად გამოვიყენეთ შედარებითი, აღწერით-ანალიტიკური მეთოდები; გაკეთდა მეთოდოლოგიური მიდგომების კლასიფიკაცია;  ჩვენი აზრით,  მოდის დისკურსის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდოლოგიური სტრატეგია ჰოლისტიკური  მიდგომაა, რომელიც სისტემური, კომპლექსური ანალიზის ჩატარების საშუალებას იძლევა.

ვფიქრობთ, კულტურის ფილოსოფიის მეთოდოლოგიური შესაძლებლობების გამოყენება მოდის დისკურსის  ანალიტიკაში ხსნის მოდის უფრო ფართო გაგების პერსპექტივას.

**საკვანძო სიტყვები:** მოდის თეორია, კულტურის ფილოსოფია, ფილოსოფიური მეთოდიკა